

## შეფასების გასაჩივრების წესი

სტუდენტი უფლებამოსილია შუალედური გამოცდის/პერიოდული შეფასების ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა.

საჩივარი განიხილება მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აკადემიური პერსონალის/სპეციალისტის მიერ ან დეკანის გადაწყვეტილებით კომისიური წესით. საჩივრის განმხილველ კომისიაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტიდან შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი/დარგის სპეციალისტი. კომისიური წესით საჩივრის განხილვისას აგრეთვე მოიწვევა საჩივრის ავტორი სტუდენტი.

იმ შემთხვევაში თუკი საჩივართან დაკავშირებით მიღებული იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.